შრომისადმი დამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი საბაზრო ურთიერთობების პირობებში

ედუარდ კავთიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, თანამედროვე ეკონომიკაში შრომისადმი დამოკიდებულების ბევრი პრობლემა ახლებურად წარმოგვიდგება, რაც დაკავშირებულია საბაზრო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებთან, გლობალიზაციის თანმდევ მოვლენებთან და გონებრივი შრომის წილის ზრდასთან. ამასთან ერთად, საქართველოში, ამას გარდა, ბევრი სხვა პრობლემაც დგას შრომის სტიმულირების საკითხში, მაგრამ დასახელებული პრობლემები მეტნაკლებად ეხება ყველა ქვეყანას.შრომის სტიმულების არსის განხილვამდე მიზანშეწონილადმიგვაჩნია შევეხოთ ეკონომიკური სტიმულების კლასიფიკაციის საკითხს, რადგან ამ შემთხვევაში გავარკვევთ შრომის სტიმულების მიმართებებს ეკონომიკური სტიმულების სხვა ნაწილებთან.

ეკონომიკური სტიმული ეფექტიანია მით უფრო, რაც უფრო მნიშვნელოვან სწრაფვებზე (მოთხოვნილებებზე) ახდენს ზემოქმედებას. ამიტომ ადამიანები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ ამა თუ იმ სტიმულზე, რადგან ეს რეაქცია არის მათთვის სხვადასხვა რანგის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება. მაშასადამე, შრომის სტიმული ისეთი ეგზოგენური ფაქტორია, რომელიც ასახვას პოულობს ადამიანის ცნობიერებაში, რომლის მეშვეობითაც ზემოქმედებს იმპულსებზე, აყალიბებს და ცვლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პირობებს.

ეკონომიკურ სტიმულებში შეიძლება განსხვავებულ იქნენ სტიმულები, რომლებიც მიმართულნი არიან წარმოებაზე, და სტიმულები, რომლებიც მიმართულნი არიან მოხმარებაზე. ბუნებრივ სტიმულებში წარმოებაზე და მოხმარებაზე მიმართული სტიმულების განსხვავება შეუძლებელია, რადგან თუ ადამიანს შრომისაკენ უბიძგებს უშუალოდ დოვლათის მოცემული სახეობა, მაშინ ეს გულისხმობს, რომ სწორედ დოვლათის ამ სახეობამ აღუძრა მას მოხმარების სურვილი. რაც შეეხება ეკონომიკურ სტიმულებს, მათ ადამიანი იღებს ეკონომიკურ ურთიერთობებში სხვა პირებისგან, ამიტომ, სტიმულების კლასიფიკაციისათვის უნდა დავემყაროთ იმას, თუ რომელი პირები, ვინ ან რა აჩენენ ამ სტიმულებს და დებენ მათ ეკონომიკურ ურთიერთობებში.

როგორც ზემოთ აღინიშნა შრომის სტიმულირება, მატერიალური დაინტერესება წარმოადგენენ ეკონომიკური ინტერესების გამოვლენის ფორმებს. ჩვენც ფაქტობრივად ამავე საფუძველზე განვიხილავთ შრომის ეკონომიკურ სტიმულებს, რადგან გამოვდივართ ერთი მხრივ დამქირავებლისა და მენეჯერის (ხელმძღვანელის) ინტერესებიდან, ხოლო მეორე მხრივ, დაქირავებული მუშაკის ინტერესებიდან, მაგრამ განსაკუთრებულად არ ვიხილავთ კატეგორიას „ინტერესი“, რადგან მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ორი მხარის ინტერესები ნათელია ჩვენს მიერ საბაზრო სტიმულების ანალიზიდან.

ახლა გავარკვიოთ, ენდოგენურ ფაქტორად მივიჩნევთ ეკონომიკურ სტიმულს თუ ეგზოგენურად. ენდოგენურად თუ მივიჩნევთ, მაშინ იგი არ იქნება განაწილების სფეროს კატეგორია, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გამოვა იმპულსის, მოტივის, სწრაფვისა და სხვა, წარმოების სფეროს კატეგორიების სინონიმი და ტერმინების სიჭარბე მას საჭიროს აღარ გახდის, ხოლო განაწილების სფერო დარჩება ადამიანის ქმედების წამბიძგებელი მხოლოდ ერთი ტერმინით – “მოტივაცია”. მაგრამ, როგორც ვნახეთ, მოტივაცია ფართო ცნებაა და იგი მხ-

ოლოდ სტიმულირებას არ მოიცავს. ამრიგად, ტერმინის შინაარსის დადგენა და მისი გამოყენების არეალის განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს სწორად გავაანალიზოთ ეკონომიკურ ურთიერთობათა, მათ შორის, განაწილების ურთიერთობათა სტრუქტურა.

შრომის ბაზარი აყალიბებს მხოლოდ ხელფასის დონეს როგორც მთელ ეკონომიკაში საშუალოდ, ისე დარგებისა და პროფესიების მიხედვით, ხოლო ხელფასის ფორმებისა და სისტემების შექმნაში შრომის სტიმულირების მიზნით გადამწყვეტ როლს ასრულებენ დამქირავებლები.

კერძო სექტორში შრომის სტიმულებზე სახელმწიფოს შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა ინსტრუმენტებითაც. მათ შორის: შეღავათებით მცირე ბიზნესისათვის, მათ შორის როგორც საგადასახადო, ისე საკრედიტო შეღავათებით; მათთვის რეგისტრაციის პროცედურის გამარტივებით; მთლიანად, თავისი საკანონმდებლო აქტებით, განსაკუთრებით, შრომის კოდექსით, რომელიც არეგულირებს დამქირავებლისა და დაქირავებულის უფლება-მოვალეობებს.

საქართველოში დღეს შექმნილი სიტუაცია მსგავსია, რადგან შრომის სტიმულების ეფექტიანობა დაბალია, მაშასადამე, საკითხი აქტუალურია, ხოლო რეალური მდგომარეობა არ ცხადდება. მაგრამ ეს სიტუაცია ამავე დროს განსხვავებულია, რადგან რეალური მდგომარეობისა და მისი მიზეზების შესწავლა არ ხდება, რადგან ითვლება, რომ კერძო სექტორი მომავალში გამოავლენს თავის შესაძლებლობებს და ეფექტიანობა ამაღლდება.შრომის სტიმულების ეფექტიანობა განუყოფლად არის დაკავშირებული საბაზრო სტიმულების ეფექტიანობასთან. ასევე აუცილებელია შევეხოთ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემასაც. მისი გავლენა არ არის ძლიერი, მაგრამ ნათელია, რომ სხვა თანაბარ პირობებში მუშაკი აირჩევს იმ სამუშაოს, სადაც უფრო მეტად იქნება სოციალურად დაზღვეული. ნათელია აგრეთვე, რომ საპენსიო უზრუნველყოფის მასტიმულირებელი ძალა დაკავშირებულია ადამიანის ასაკთან და იგი იზრდება საპენსიო ასაკის მოახლოებასთან ერთად.

შრომის სტიმულირება შრომისა და მთლიანად წარმოების ორგანიზაციის ძირითადი რგოლია. მართალია, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს შიდასაფირმო საქმეებში, მაგრამ მის ხელთ არის მრავალი საშუალება, რათა შექმნას ფირმებში შრომის სტიმულირების ხელშემწყობი პირობები, რომ კონსულტაციებისა და სხვა ფორმების მეშვეობით გადმოიღონ შრომის სტიმულირების გამოცდილება განვითარებული ქვეყნებისგან.უნდა აღვნიშნოთ, რომ არა ვართ უცხოური გამოცდილების გადმოტანის მომხრე დეტალური ანალიზის გარეშე. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ საჭიროა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკური პირობები, არამედ იმითაც, რომ შრომის სტიმულირებას ნაკლოვანებები გააჩნია განვითარებულ ქვეყნებშიც, მაშასადამე, საჭიროა გადმოვიტანოთ მათი გამოცდილების მხოლოდ დადებითი მხარეები. ცხოური ქვეყნების გამოცდილების გადმოტანას და შრომის სტიმულირებას სჭირდება მრავალი ასპექტის გათვალისწინება და ანალიზი, რათა სისტემამ იმუშაოს „ისე, როგორც იყო ნავარაუდევი".წარმატება ყოველთვის შეფარდებითია და ყოველთვის შექმნილ პირობებთან მიმართებაში უნდა იქნეს განხილული; ხოლო ეს პირობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად და ქვეყნების მიხედვით.

შრომის სტიმულირება მაღალ ეფექტს იძლევა მაშინ, როდესაც დამქირავებელი და დაქირავებული თანასწორი პარტნიორები არიან. ამის შედეგად გავრცელდა განვითარებულ ქვეყნებში მოგებაში მუშათა მონაწილეობის სისტემები, რაც ორგანიზაციულად იმასთან არის დაკავშირებული, რომ მუშები მაღალი წილით არიან წარმოდგენილი კორპორაციების სამეთვალყურეო საბჭოებში. ეს საკითხი აქტუალურია იმასთან დაკავშირებითაც, რომ კორპორაციებში ხელფასის დონე განვითარებულ ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა საწარმოებში.

შრომის სტიმულების განსაზღვრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაზარი ზემოქმედებს შიდასაფირმო სტიმულების ჩამოყალიბებაზე არა მხოლოდ საქონლის გაყიდვისა და რესურსების შეძენის ფასთა სხვაობის, მაშასადამე, შემოსავლის სიდიდის მეშვეობით, არამედ აგრეთვე შრომის ბაზრის მეშვეობით.

ნათელია, რომ სახელმწიფო შრომის სტიმულების ფორმებსა და მეთოდებზე როგორც პირდაპირ, ისე ირიბ გავლენას ახდენს ხილული ხელით, ამიტომ შეიძლება ავღნიშნოთ, რომ ადამიანების მიერ ხილული ხელით შექმნილ სტიმულებს მიეკუთვნებიან სახელმწიფოსა და ფირმის მიერ შექმნილი სტიმულები. მაგრამ, როგორც ავღნიშნეთ, ეს სტიმულები ემყარებიან ხელფასის შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებულ დონესა და მოგების (შემოსავლის) მაქსიმიზაციის მიზანს, ამიტომ ისინი ძირითადად საბაზრო ხასიათს ატარებენ.

თანასწორი პარტნიორობის მიღწევა შეუძლებელია სამართლებრივი რეფორმების გზით, იგი მიღწეულ უნდა იქნეს საერთო ეკონომიკური

განვითარებისა და მათ შორის მუშაკთა კვალიფიკაციის ზრდის შედეგად, მაგრამ სამართლებრივმა გარემომ არ უნდა ჩააყენოს დაქირავებული მუშაკები უუფლებო მდგომარეობაში, რადგან ეს ხელს შეუშლის თანასწორი პარტნიორობისათვის საჭირო წინაპირობების შექმნას, მათ შორის შესაბამისი ჩვევების გამომუშავებას როგორც დამქირავებლებში, ისე დაქირავებულებში. ამ ასპექტში საინტერესოა საქართველოს შრომის კოდექსის ახალი ვარიანტი. კერძოდ ის, რომ კოდექსი მაქსიმალურ უფლებებს აძლევს დამქირავებელს და აბსოლუტურად უუფლებოს ხდის დაქირავებულს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაქირავებულთა უუფლებობა გამორიცხავს შრომის სტიმულირების უცხოური ფორმების გადმოღებას და მათ ეფექტიან გამოყენებას, რაც შეაფერხებს არა მარტო სიღარიბის შემცირების შესაძლებლობის რეალიზაციას, არამედ წარმოების ეფექტიანობის ზრდასაც.

ნათელია, რომ შრომის კოდექსი და ზოგიერთი საკითხი, რომლებსაც ზემოთ შევეხეთ, შრომის სტიმულების თემის მხოლოდ ცალკეულ საკითხებს წარმოადგენენ, რომელთაგან ყოველ მათგანზე არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ამიტომ აქვე გვინდა დავსვათ საკითხი ისეთი სამეცნიერო პრაქტიკული ორგანიზაციის შექმნის მიზანშეწონილობაზე, რომელიც სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიკვლევს შრომის სტიმულების კავშირს ეკონომიკური სისტემის სხვა ელემენტებთან, მათ მდგომარეობას საქართველოში, უცხოურ გამოცდილებას და საქართველოში მისი გამოყენების მიზანშეწონილობას და თავისებურებებს და კონსულტაციებს გაუწევს პრაქტიკოსებს მდომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე.

ჩვენ არ განვიხილეთ მოხმარებაზე მიმართული სტიმულები. კერძოდ, ჩვენ შევეხებით არა მხოლოდ ფასების დონეს, რომელიც შრომის სტიმულებზე გავლენას ახდენს ცხოვრების გარკვეული დონის ჩამოყალიბებით, არამედ ძირითადად იმ ასპექტში, თუ როგორ ხდება გასაღების სამსახურების მუშაკთა შრომის სტიმულირება, რომელიც დაკავშირებულია ამ სამსახურების მიერ მომხმარებელთა სტიმულირებასთან.

შრომის სტიმულებზე შექმნილი წარმოდგენის მიხედვით, ისინი არიან მხოლოდ მენეჯმენტის საგნის შემადგენელი ნაწილები. მათ განიხილავს აგრეთვე შრომის ეკონომიკა, მაგრამ ამ შემთხვევაში განხილვა ხდება ორ ნაწილად, რადგან პირველში განხილულია შრომის ბაზარი, ხოლო მეორეში - ხელფასის მასტიმულირებელ ფუნქციაზე ფირმის მენეჯმენტის გავლენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Якобсон Н. М. Психологические проблемы мотивации поведения человека. М. 1969. с. 257.
2. Рональд Дж. Эренберг, Роберт С. Смит. Современная экономика труда. Теория и государственная политика. Издательство Московского университета. М., 1996, с. 389.
3. ჯონ ალანი. როგორ წავახალისოთ ადამიანი. თბ., 2001, გვ. 48.
4. Питер Чингос. Оплата труда персонала в динамичной деловой среде, Москва-Санкт-Петербург-Киев,2004, ст. 125.
5. ნ. გრეგორი მენქიუ ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2007, გვ. 57.

SOME QUESTIONS IN RELATION TO WORK IN THE CONDITIONS OF THE MARKET RELATIONS

EDUARD KAVTIDZE - Acad. doctor of Economics

Influence of encomes and changes of standards of life on labour stimuli in a long-term period is not essential, as in long-term period change of labour activity

In this issues aim is to say each other our mind about this items, which are different from one another, because this items show us their importance despite of their differentiations as for economic stimulate analyses, as their practice for complete.depends on the natural movement of population and reproduction.

From these three items, the first and the second show us that government economic politic incomes must be directed though the optimal level and the third item – libertarianism – is very different from them, because incomes approximately politic is not true.